

მარადიული სიყვარულის ოდისეა

(ჩვენი დროის პოეტური შედეგის შესახებ:

ვახტანგ ჯავახაძის მინიპოემის – „ელეგია: ყელსაბამი“ - განხილვა)

გოგიაშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. მოცემული ნაშრომი ვახტანგ ჯავახაძის ვრცელი ლექსის/მინიპოემის - „ელეგია: ყელსაბამი“ განხილვაა. ნაშრომში გამოყენებულია ლიტერატურული ტექსტის კვლევის ჰერმენევტიკული მეთოდი, ანალიზი და ტექსტი შესწავლილი ლიტერატურის სოციოლოგიის პრიზმაში. ლექსი განხილულია ლექსმცოდნეობის თვალსაზრისითაც.

„ელეგია: ყელსაბამი“ ან ვრცელი ლექსის ან მინიპოემის ლიტერატურულ ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ. ავტორი, მისი შექმნისას, ფიქრობდა, რომ ელეგიას დაწერდა, თუმცა, წერის პროცესი გაიწელა და ტექსტიც განივრცო.

ყველა თანხმდება, რომ „ელეგია: ყელსაბამი“ რაღაც ახლის დასაბამია მიმდინარე ქართულ პოეზიაში. როდესაც ლიტერატურულ მიმდინარეობაზე ვსაუბრობთ, თუ რომელ მათგანს მიეკუთვნება მინიპოემა, ვვარაუდობთ, ეს ან პოსტპოსტმოდერნიზმია ან ნეონატურალიზმი. ლირიკული „მე“ წარმოგვიდგება, როგორც ნამდვილი „მე“ და მთელი მკაფიო და უაპელაციო ნატურალიზმით ჰყვება უკვდავი სიყვარულის ამბავს, რომელზეც ხან ნივთები საუბრობენ, ხან ცხოვრებისეული ხდომილებები, ხან აღმასვლები და ხან დაღმასვლები.

ლექსს წამმღვარებელი აქვს მურმან ლებანიძის ლექსის სათაური - „ვეჩვევი უშენობას!“ და სწორედ ეს გამოხატავს მის ძირითად განწყობას; მურმან ლებანიძემ ეს ლექსი მიუძღვნა გარდაცვლილ შვილს და მასში მის გარეშე არსებული ცხოვრების გაძლებასა და შეჩვევაზე საუბარი.

ავტორისა და მისი სიყვარულის ობიექტის „შინაგანი დიალოგი“ არ წყდება და ამაზე ღაღადებენ საგნები, საფლავის ქვა და ლექსის ფინალურ ნაწილში მოფრენილი ცისფერი მტრედი-ქედანი, როგორც შეყვარებულ სულთა უწყვეტი კავშირის მანიშნებელი, როგორც სიმბოლო უკვდავი სიყვარულისა. ლექსში, მეტი ნატურალიზმისთვის, გამოყენებულია ჟარგონი და სლენგი, ბარბარიზმი და ნეოლოგიზმი.

აღსანიშნავია, რომ ლექსი კონვენციური ანუ ტრადიციულია, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პოეზიის მეინსტრიმული ხაზი ვერლიბრს მოიცავს. ლექსი გამორჩეულია საოცარი ევფონიითა და ტემპო-რიტმით.

ნაშრომში აღნიშნულია ირონიისა და იუმორის ის არაჩვეულებრივი გამოვლინება, რომელიც ვახტანგ ჯავახაძის სტილური მახასიათებელია. ამგვარად, ჩვენ წინაშეა ვახტანგ ჯავახაძის შედეგური - „ელეგია: ყელსაბამი“, რომელიც ქართულ პოეზიაში რაღაც ახლის დასაწყისს ნიშნავს.

საკვანძო სიტყვები: ელეგია, ყელსაბამი, ნეონატურალიზმი, ჯავახაძე, შედევი, პოეზია

შედევის დეფინიციას თუ გავიხსენებთ, ის ხელოვნების, ოსტატობის უდიდეს მიღწევად განისაზღვრება. დამეთანხმებით, რთულია ეს მნიშვნელობა რამეს მოარგო. მითუფრო, ჩვენს პოსტმოდერნულ დროსა და პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში, როცა გარკვეულობის კრიტერიუმები საეჭვოა და არ არსებობს ობიექტური ქეშმარიტება. თუმცა, როდესაც ვახტანგ ჯავახაძის „ელეგია: ყელსაბამი“ პირველად წავიკითხე, სწორედ ამ უიშვიათესმა აზრმა გამიელვა თავში; პირველ ჯერზე, ბოლომდე ვერც წავიკითხე – ჭარბი ემოციისა და იმ ჯადოსნური ხიბლის გამო, რამაც შეჩერება, ფრაზეთან დარჩენა და მათით მოგვრილი ტკბილ-მწარე შეგრძნებების დაგემოვნება მაიძულა. მერე, დავდიოდი და თან დავატარებდი: „გირეკავენ და სახლში არა ხარ, და არა მარტო სახლში არა ხარ“, (ჯავახაძე:2016) – ამ სტრიქონს, და არა მარტო ამას. მერე, ეს ფრაზები ცხოვრებისეულ ხდომილებებში გადმოვიდნენ, რუტინის გასაძლევ იუმორსა და თვითირონიაშიც კი გამჟღავდნენ, მთლიანად მოიცვეს ჩემი არსება.

წარმოდგენილ ნაშრომში, ხშირად, ჩემს შეგრძნებებსა და პოეზიით მოგვრილ აღმაფრენაზე მომიწევს წერა, გარდა იმისა, რომ განვიხილავ მოცემულ ლექსს, ლექსმცოდნეობის თვალსაზრისით. ვახტანგ ჯავახაძემ, „ელეგია: ყელსაბამის“ სახით წარმოადგინა ის ოსტატობა, გლამური და კლასი, რასაც გვერდს ვერაფრით ავუვლით. ჩემდა სასიხარულოდ, კონკურსების ჟიურის წევრებმაც ვერ აუარეს გვერდი და მას, წიგნისთვის „ელეგია და სხვა ლექსები“, რომელშიც „ელეგია: ყელსაბამია“ შესული, გადაეცა 2017 წლის ლიტერატურული პრემიები - „ლიტერა“ და „საბა“. მინიპოემის შესახებ დაიწერა რეცენზიები და გამოხმაურებები: ზვიად კვარაცხელიას, გია არგანაშვილის, ლევან ბრეგაძის, შოთა იათაშვილის, ლექსო დორეულის და სხვათა მიერ. ყველა მათგანი ცდილობს, გახსნას კონკრეტული პოეზიის ნიმუშის ის ხილული თუ დაფარული შრეები, რამაც მკითხველის უწყვეტი აპლოდისმენტები დაიმსახურა.

დავიწყებ წამძღვარებული სიტყვიდან, რაც მურმან ლებანიძის ლექსის – „ვეჩვევი უშენობას“ – სათაურია და მთლიანად განსაზღვრავს მინიპოემის განწყობას. მურმან ლებანიძემ ლექსი გარდაცვლილ შვილს მიუძღვნა, ვახტანგ ჯავახაძემ კი – გარდაცვლილ მეუღლეს. მოცემულ კონტექსტებში, ფრაზა - „ვეჩვევი უშენობას“ არადამაჯერებელია, ყოფის ლიმიტირებულობის მიმართ უმწეობით ამოთქმული თვითირონიაა, გარდაუვალის წინაშე შეგუების მცდელობაა, უსაზღვრო სიყვარულის ჰანგია, რომელიც ხილულ, ადამიანურ მოცემულობაში სუბსტანციის გარეშე რჩება.

„ახირებული ჟინი ამიტანს და შერევილი ვნება ამიტანს:

იქნებ შეჩერდე, კაცობრიობავ, თუნდაც ამ ერთადერთი წამითაც“! (ჯავახაძე:2016)

მარტივი ამოსაცნობია წმინდა ფაუსტური ალუზია („შეჩერდი, წამო“...), აღტაცებისა და უზენაესი ნეტარების წამის მარადიულობის რეპრეზენტაციის პრეტენზია, როდესაც პოეტს „ახირებული ჟინი“ და „შერევილი ვნება“ აიტანს, საყვარელი და სასურველი მეუღლის მიმართ. მინდა, დასაწყისშივე აღვნიშნო ის არაჩვეულებრივი ირონია და იუმორი, რომელიც მოცემულ ფრაზებშიც იკვეთება, როგორც ვახტანგ ჯავახაძის სტილური მახასიათებელი, და რომლის დიდ

დეფიციტსაც განიცდის ქართული ლიტერატურა. ირონიის, თვითირონიისა და იუმორისთვის, აუცილებელია, რომ საკუთარ პერსონას, სოციუმს, ქვეყანას და ა.შ. ოდნავ გარედან, სხვა პოზიციიდან შეხედო. საკუთარი თავისა და საკუთარი გარემოსაგან გონივრული დისტანცირება ქმნის პირობას ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებისა, რომლის აუცილებელი ელემენტიც თვითირონიაა. „ელეგია: ყელსაბამში“, მიუხედავად მისი დრამატული ხასიათისა, ირონიის საოცრად დახვეწილი მაგალითები გვხვდება. ტრაგიკული და კომიკური განცდები კი ისე სინქრონულად ეწყობიან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გროტესკია:

„და გაგებურე (თუმცა ხუმრობას ვერ მიგიხვდება ზოგი პინგვინი):

დაბერებულსაც ისე მომწონხარ, მოდი, მეორედ ვიფსკვნათ გვირგვინი“;
(ჯავახაძე;2016)

ან:

„ამიერიდან სალხინებელის ცალმხრივ ტრასაზე უნდა გეძიო
და რაკი ვეღარ დამიბრუნდები, მე თვითონ უნდა
წამოგეწიო“ (ჯავახაძე;2016).

ამგვარი ირონია და გროტესკი არა მარტო სტილური მახასიათებელი, არამედ რაფინირებული შინაგანი კულტურის მანიშნებელია, რათა არ გადატვირთო მკითხელი ზედმეტი ნეგატივით – ჭარბი ბალასტით. „ელეგია: ყელსაბამში“ ნატურალისტური სიახლოვითა და სიშიშვლითაა აღწერილი ყოფითი, რუტინული ცხოვრების სულ მცირე დეტალებიც კი. ამას მეცნიერი ლევან ბრეგაძე ნეონატურალიზმს არქმევს. აქ საგნები ლაპარაკობენ, რადგან სიყვარულის ობიექტი უკვე „სახლში არ არის“ და „არა მარტო სახლში არ არის“ – ის აღარ არის ადამიანურ განზომილებაში.

„შენმა გრანიტმაც გამოიღვიძა: სიტყვა სდუმდა და ქვა ღაღადებდა“;
(ჯავახაძე;2016)

ან, დასაწყისში:

„დაცარიელდა კაბა, საწოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა – შენები
ყველაზე მეტად ყელსაბამს უჭირს, მაგრამ მე ვეღარ შევეშველები“.
(ჯავახაძე;2016)

მწერალი შოთა იათაშვილი „ვახტანგ ჯავახაძის დაობლებული საგნების“ სათაურით აქვეყნებს წერილს მოცემულ ლექსზე: „პოეტი არ რჩება გარდაცვლილ მეუღლესთან იდუმალ დიალოგში, არ რჩება ინტიმში. მას სცენაზე ბევრი ადამიანი შემოჰყავს, ინტერტექსტუალურს ხდის ნაწერს და, რაც მთავარია, წერის პროცესი, რომელიც დიდხანს გრძელდება, მას ითრევს“... (იათაშვილი;2017) ვფიქრობ, სწორედ “იდუმალი დიალოგის” შენარჩუნებაზეა ეს ვრცელი ლექსი დაწერილი, „უძისოდ“ დარჩენილობის უსუბსტანციობაზეა, სადაც ლირიკული გმირი ცდილობს შეჩვევას, თუმცა – მხოლოდ ცდილობს:

„ყველგან შენ ხარ და შენ აღარა ხარ, ყველა ნივთი და ყველა საგანი –

შენ მიიზიდე, შენ მიითვისე, შენ ამოავსე ჩვენი საკანი,

რომელიც თითქოს ცარიელია, საიდუმლოა თითქოს სერობა,

სადაც ერთმანეთს ედავებიან შენი შენობა და უშენობა“ (ჯავახაძე;2016)

ან:

„ისე ბევრი ხარ, არ მეშინია, თუ რომელიმე გამეპარები.

იმდენი წყვილი თვალთ მიყურებ, თვალეში თითქმის ვერ ვიხედები“.
(ჯავახაძე;2016)

უამრავი ფრაზა, მთელი ლექსი დასტურია იმისა, რომ მოსიყვარულე სულთა შორის კავშირი დაურღვეველია, მას ვერ ერევა ობიექტის სხეულებრივი არყოფნა, ის ძალიან ბევრია, ის ყველგანაა, ყველა ნივთი მისითაა სავსე, ყველა მოგონება, ყველა სიხარული თუ ფიასკო. აქ ნივთები არ მეტყველებენ, აქ არ არის გაპიროვნება, აქ ნივთებიც სავსენი არიან და ჰაერიც კი გაჯერებულია მისი საყვარელი მეუღლით. „ელეგია: ყელსაბამი“ სიყვარულის უმაღლესი სულიერი რეგისტრია, „სიყვარული აღგვამადლებს“ რუსთველურ დიმენსიაში ასული. ყოფიერების გაძლება დიალოგის წყვეტას არ ნიშნავს. პირიქით, ლირიკული გმირი ცდილობს, ბოლომდე მამაცურად გაიტანოს ღვთით მიმადლებული სიცოცხლე:

„და, რაკი ქვეყნად კიდევ ვეთრევი, შევავედრებ და შევევედრები,

რათა ვარდების ლიტურგიაზე დაამწყალობნონ შენი თეთრები“.
(ჯავახაძე;2016)

პოეტი, მეტი დამაჯერებლობისთვის, ჟარგონებსა და სლენგებს, ბარბარიზმებსა და ნეოლოგიზმებს იყენებს: მოვტეხავ, უბერავს, გებაჩუნა, დავამულამე, მოვტვინე, საკაიფონი, დაიკიდე, მესიჯი, ადრესი და სხვა. „რადაც ახალი იწყება ამ ლექსით არა მარტო ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებაში, როგორც ჩანს, საზოგადოდ, და რა არის ეს? ამგვარ ლექსში პოეზია უფრო მეტად ხდება ფაბულური“, (ბრეგაძე;2019) - წერს პროფესორი ლევან ბრეგაძე. „ელეგია: ყელსაბამში“ კვითხულობთ მთელ ეპოქას, მთელ ცხოვრებისეულ პერიპეტიებს, კრემლის ზარებიდან, ლარებიდან და დოლარებიდან დაწყებული, ცოცხალი პერსონაჟებით დამთავრებული. ლევან ბრეგაძე წერს, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიით ესაა ერთგვარი “ნონფიქშენი”, იგივე “სინამდვილის პოეზია”, “დოკუმენტური პოეზია” ან “ფაქტის ლიტერატურა”. „განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლიტერატურის საშუალებით სოციალური სამყაროს წვდომის ერთ-ერთი ასპექტი: შემთხვევები, როცა ლიტერატურა თავად გვაწვდის სოციალურ და, შეიძლება ითქვას, „სოციოლოგიურ“ ანალიზსაც კი... მათთან ვხვდებით ერთგვარ სპონტანურ სოციოლოგიას“. (არონი, ვიალა; 2011;9) ვახტანგ ჯავახაძის ეს ვრცელი ლექსი სწორედ ლიტერატურის სოციოლოგიის კუთხით უნდა განვიხილოთ. თავად ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც ლექსის წერას იწყებდა, მას „ელეგია პირველი“ დაარქვა და რამდენიმე ელეგიის ტიპის ლექსის დაწერას გეგმავდა. თუმცა, ეს ელეგია თითქმის ერთი წელიწადი გამიგრძელდა და დიდი მოცულობის გამო, ვფიქრობდი, მკითხველი არ წაიკითხავდა, მაგრამ სულ სხვაგვარად აღმოჩნდაო, - წერს ავტორი. ლექსმა, გამოქვეყნებისთანავე დაიპყრო სოციალური სივრცე და არა მარტო... ლექსი ინტერტექსტუალურია, რადგან ბევრი ხელოვანი, გამოჩენილი ადამიანი, პირდაპირ თუ ირიბად, სიტყვების უბადლო პოეტური ჟონგლიორობითაა წარმოდგენილი, თავიანთი შემოქმედებითურთ; („თავს არც იოჰან (დავით) გოეთე (წერედიანი) შეიკავებდა“ და სხვა მრავალი ამგვარი ინტერტექსტი). პოსტმოდერნისტული ინტერტექსტუალობა სულაც არ გვიშლის ხელს ვთქვათ, რომ ეს ვრცელი ლექსი თუ არასტანდარტული მინიპოემა პოსტპოსტმოდერნიზმია ან სულაც –

ნეონატურალიზმი, როგორც ამაზე კრიტიკოსებიც თანხმდებიან.

დავეთანხმები კრიტიკოსს გია არგანაშვილს, რომელიც თავის ნაშრომში „პიეტა ყელსაბამისთვის“ (ვახტანგ ჯავახაძის ლექსის გამო „ელეგია პირველი: ყელსაბამი“) წერს: „ლექსის თითოეული სტრიქონი გამოწვლილვით ანალიზს ითხოვს. ამ ფორმატში ეს მართლაც შეუძლებელი მეჩვენება“. (არგანაშვილი; 2016:36) მსურს, ყველა ტროპი, მოვლენა, პოეტური თამაში, ცდა თუ წლების განმავლობაში დაგროვილი ოსტატობის მკაფიო გამოვლინება დეტალურად განვიხილო, ავხსნა, გავანალიზო. ასეთი ვრცელი ტექსტის კითხვისას, ყოველთვის მიჰყვრება უნებური განცდა თუ შიში, - აი, ახლა „ჩავარდება“ ემოცია, ან ახლა უღალატებს ავტორს გემოვნება, ან „ყურით მოთრეულ“, თვითმიზნურ რითმას გადავაწყდები, ან ტემპორიტმი დაიკარგება, ან ჭარბი ლიტერატურული ბალასტით ჩაიძირება პოეტური გემი. გამოცდილ, ჭარმაგ გემის კაპიტანს – ვახტანგ ჯავახაძეს შეუდარებელი ვირტუოზულობით მიჰყავს პოეზიის ხომალდი ხმელეთამდე!

„გასრულდა ეს ელეგია და ტრიალი ცალფა რითმის ჯარასი“... (ჯავახაძე;2016)

ლექსში არც მეტატექსტების სიმცირეა; ჩვენ, თითქოს, უშუალო მონაწილენი ვხდებით ტექსტის თხზვის და, შიგადაშიგ, თვითონ ავტორი გვიყვება ლექსის არქიტექტონიკის ნიუანსების შესახებ:

„აქ შედარებამ მოიკოჭლა და განსაწმენდელში გამოვატარე“... (ჯავახაძე;2016)

ან:

„არ დააყოვნა თურმეობითმაც, თურმე ნუ იტყვი, თურმე ძალიან“... (ჯავახაძე;2016)

პოეტის გაფაციცებული სმენა არაფერს ტოვებს შეუმჩნეველს. მისი უზარმაზარი გამოცდილება სიყვარულის მოზღვავებულ განცდასა და დაკარგვის ტრაგიზმს ერწყმის, და სწორად შერჩეულ დროში, სწორი აქცენტებითა და უტყუარი ალლოთი იქმნება ლექსი-შედევი. „შედევის გამოჩენის კანონი“ იგივეა რაც ლანსონის ლიტერატურის ისტორიის არსი: წყაროებისა და გავლენების ძიება. დიდი ნაწარმოებები არასოდეს იქმნება თავისთავად. ერთი ხელის დაკვრით. მათ ესაჭიროებათ მოსინჯვა, მეცადინეობა, შეცდომები, რომლებიც წინ უსწრებდათ ამ გზაზე“. (არონი, ვილა;2011:23)

„ვახტანგ ჯავახაძემ ლექსის ვირტუოზული ფლობა გამოიყენა იმისთვის, რომ ჩვენთვის ნივთებისა და ადამიანების ისტორია მოეთხრო“, (კვარაცხელია;2016) - წერს ზვიად კვარაცხელია. ვფიქრობ, ეს ვრცელი ლექსი უფრო სიყვარულის ისტორიაა, სიყვარულის უკვდავი ოდისეაა, რომელზეც პოეტი ნივთებისა და ადამიანების მემშვეობით გვიყვება. ლექსის ადრესატის სახელიც მხოლოდ მინიშნებულია; მრავალგვარი ეპითეტითაა გადმოცემული მისი ხასიათიც: “ფინანსთა ნამინისტრალი”, “თომას დაიკო”, “ოთარაანთ ქვრივო” და ა.შ. თუმცა, შემძლია ვთქვა, რომ აქ ყველა და ყველაფერი სიყვარულის ენით მეტყველებს; ხიროსიმა და ნაგასაკი, მოსკვა-რეკა, მოსარწყავი ყვავილები, მათზე ეჭვიანობა, ირონიულ კონტექსტში გადმოცემული ცოლის უწყვეტი მონიტორინგი - იმქვეყნიდანაც, მხოლოდ იმიტომ ხდება და იწერება, რომ სიყვარულზე მოგვიყვებს პოეტი.

ლექსის ფინალური ნაწილი დასტურია ჩემეული მოსაზრებისა. მოფრინდება ცისფერი მტრედი-ქედანი, რომელიც მისი მეუღლის ხატება და განსხეულებაა. არ წყდება სიყვარულის დიალოგი, არ იწურება იმედი, ჰარმონიული ხდება იმქვეყნისა და

ამქვეყნის კავშირი, როგორც ლოცვა, როგორც ღმერთისადმი, როგორც სიყვარულისადმი აღვლენილი სამადლობელი, როგორც მიმღებლობა სამყაროსეული უზენაესი კანონისა და მასში ერთადერთი კონსტანტის – სიყვარულის დაუსაბამობა.

„ჩამოიმარცვლა წელიწადების კრიალოსანი ანუ ქარასტა,

ეს ნახევარი საუკუნეა, მტრედი არ მახსოვს ამ ფანჯარასთან,

დღეს კი ცა უფრო მტრედისფერია და ჩიორების კოსმოდრომიდან

კვლავ – არა მარტო მოფრინდება და კვლავ – არა მარტო ამბავს მომიტანს“.

(ჯავახაძე;2016)

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ლიტერატურული სივრცე, ძირითადად, ვერლიბრით მარაგდება და იკვებება. როდესაც თავისუფალი ლექსი ასე მენსტიმულია და კონვენციურ ლექსში, თითქოს, ყველა დიადი შესაძლებლობა ამოწურულია, თავად გალაკტიონის უბადლო მკვლევარი წერს ლექსს ტრადიციული საზომით, „ცალფა რითმით“, და ამ ლექსის წინაშე ყველაზე პრეტენზიული მკითხველი და კრიტიკოსიც კი განიარაღებულია (გამონაკლისების გარდა), ეს ლექსის უპრეცედენტო აღიარებას ნიშნავს. მოვიშველიებ დავით წერედიანის აზრს: „მოთხრობისა და რომანისაგან განსხვავებით, ლექსი, პირველ ყოვლისა, მაინც ყურისთვის იწერება, კარგი ვერლიბრის ჩათვლით“, (წერედიანი;2018:29) და მივუსადაგებ „ელეგია: ყელსაბამს“: ლექსის ევფონია და მუსიკალობა, დახვეწილი ალიტერაციები და მარცვალთა გადათამაშებები ერთ აღუწერელ ხიბლს ანიჭებს მას და „ამოდ სასმენ“ ტექსტად აქცევს. ლექსის მგრძობელობითი ნიშნული ძალიან მაღალია და ჩვენ წინაშეა ვახტანგ ჯავახაძის ვრცელი ლექსი ან მინიპოემა „ელეგია: ყელსაბამი“ - მთელი თავისი დიდებულებით!

ლიტერატურა:

არონი, პ. ვიალა, ა. (2011). ლიტერატურის სოციოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“.

არგანაშვილი, გ. (2016). პიეტა ყელსაბამისთვის. „საგურამო“, 2(13): 33-37, <http://ichavchavadze/wp-content/uploads/2017/02/saguramo2.pdf>

ბრეგაძე, ლ. (2019). „სხვანაირი“ ლექსი. ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა, https://textualscholarship.blogspot.com/2019/05/blog-post_24.html

იათაშვილი, შ. (2017). ვახტანგ ჯავახაძის დაობლებული საგნები. რადიო თავისუფლების ბიბლიოთეკა, <https://www.radiotavisupleba.ge/a/vakhtang-javajhadzis-elegia/28301642.html>

კვარაცხელია, ზ. (2016). ფიქრები ვახტანგ ჯავახაძის ელეგიაზე. ინტერნეტგაზეთი maststavlebeli.ge, <http://maststavlebeli.ge/?p=11225>

წერედიანი, დ. (2018). თემა და ვარიაციები. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

ჯავახაძე, ვ. (2016). ელეგია პირველი: ყელსაბამი. ელ.ბიბლიოთეკა „ლიტკლუბი“, <http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=15635>

(About the poetic masterpiece of our time:
Vakhtang Javakhadze's mini-poem – Elegy: Necklace – Review)

Gogiashvili

Nino

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The present manuscript is the review of Vakhtang Javakhadze's long verse/mini-poem – Elegy: Necklace. During the analysis the hermeneutic method of text study, analysis and text research in the prism of literary sociology have been used. The verse is analyzed in view of poetry study too.

Elegy: Necklace can be considered as part of long verse or mini-poem genre. When creating it, the author planned to write an elegy, although, the writing process prolonged and the text extended. Everyone agrees that Elegy: Necklace is the start of something new in Georgian poetry. When we speak about literary movement, which one of them the mini-poem belongs to, we presume that it is either postmodernism or neonaturalism. The lyrical "I" is represented as the true "I" and with all the clear and unappealable naturalism tells the story of eternal love, told either by items or life events; either ups or downs.

The poem is led by Murman Lebanidze's poem title – Getting Used to Being Without You! which precisely reflects its main mood; Murman Lebanidze dedicated this poem to his deceased spouse and speaks about struggling to get used to living without her.

The "internal dialogue" of the author and his beloved one does not stop and it is spoken about by items, gravestone and in the final part of the poem, the blue dove, as the sign of eternal connection between souls in love, as the symbol of immortal love. For more naturalism slang, barbarism and neologism are used in the poem.

It is noteworthy that the poem is conventional or traditional, despite the fact that current poetry mainstream is a verse libre. The poem is distinguished by amazing euphony and tempo-rhythm.

The poem expresses the unusual humor and irony, which are the signs of Vakhtang Javakhadze's style. Therefore, here is Vakhtang Javakhadze's masterpiece – Elegy: Necklace, which is the start of something new in Georgian poetry.

Key words: Elegy, Necklace, neonaturalism, Javakhadze, masterpiece, poetry.